გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელანაშვილის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 258 საკითხის განხილვაში. ბიუროს 32 სხდომას და 441 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში“. დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 94 საკითხის განხილვაში.

ვარ ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჩავატარე 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 87 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის წევრი, დავესწარი 11 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 17 საკითხის განხილვაში.

ვარ ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, მონაწილეობა მაქვს მიღებული სხვადასხვა გასვლით სხდომებსა და ტრენინგებში,

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს რა დროსაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები:

2023 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

ვარიანის ადმინისტრაციული ერთეული

სოფელ არაშენდაში შიდა საუბნო გზებზე მოეწყო ასფალტის საფარი.

სოფ.არაშენდაში სკოლასთან მისასვლელ გზაზე მოეწყო ასფალტის საფარი.

სოფელ ვარიანში დაწყებულია საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ვარიანის მეურნეობის დასახლებაში შეიცვალა სასმელი წყლის მილსადენი და დასრულდა სასმელი წყლის გამრიცხველიანება.

სოფელ საქაშეთში აშენდა საბავშვო ბაღი და დასრულდა სასმელი წყლის გამრიცხველიანება.

სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში სოფელ არაშენდაში და საქაშეთში მოეწყო გარე განათება.

ვარიანში შემოისაზღვრა სკვერი.

სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტით, ვარიანში მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი, ხოლო ვარიანის მეურნეობაში სავარჯიშო ტრენაჟორები.

სოფელ ვარიანში და საქაშეთში მოიხრეშა ფრაქციული ღორღით შიდა საუბნო გზები.

შინდისის ადმინისტრაციული ერთეული

შინდისის ცენტრიდან ყელქცეულამდე მოეწყო ასფალტის საფარი.

სოფელ ქვემო ხვითში, სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მოეწყო ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედანი.

შინდისში მოიხრეშა ღორღით შიდა საუბნო გზები.

სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში სოფ. შინდისში და ქვემო ხვითში მოიხრეშა შიდა საუბნო გზები.

სოფ. ფხვენისში მოეწყო გარე განათება.

ნიქოზის ადმინისტრაციული ერთეული

სოფელ ზემოხვითში დასრულდა გარე განათების მოწყობა.

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში სოფელ ქვემო ნიქოზში მოეწყო ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედანი.

სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში,ზემო ნიქოზში მოიხრეშა შიდა საუბნო გზები.

ქვემონიქოზში გაგრძელდა სარწყავი ღარების მოწყობა.

გამოვლენილ პობლემებზე მოვახდინე რეაგირება. ამასთან აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ მელანაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. ზემო ნიქოზი 2023 წლის 23 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომერის მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: მერაბ მელანაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ნიქოზის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი შორენა შოშიაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ მურალოვა;

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის მერაბ მელანაშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მერაბ მელანაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მერაბ მელანაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა

ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მერაბ მელანაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ცირა ხიზანიშვილმა, ზურაბ ყაჯრიშვილმა და გიორგი ლაზარაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა;

საკრებულოს წევრი : მერაბ მელანაშვილი.